ბიბლიო. თეკა

პროლეტარელო ყველა ძვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 162 (19304) კვირა, 14 ივლისი, 1985 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ XXVII ყრილობის შესასვლელად

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს — დამკვრელური შრომით!

• დავალება შესრულებულია

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ჩიხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა **ზ. ერემაძეშვილმა**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ს. ცინცაძემ** და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ **ლ. ლომთათაძემ.**

ჩიხატაური

რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა 30 ივნისს გადაკეთებული შესასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საბელმწიფოსათვის მოყიდვის ხუთწლედის საგეგმო დავალება. ნაცვლად 65.500 ტონისა, მოკრეფა და გადამშუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 65.568 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშმა წლიულს სეზონში დამზადდება 8 ათასი ტონა ნედლეული.

ამ მაჩვენებლებმა ასალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს და პირველი ადგილისათვის სამშობლოს უპატაკეს მეთრეთმეტე ხუთწლედის დავალებების შესრულება. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა შესასრულეს 110 პროცენტით, რძის — 103, ხილის — 101, აბრეშუმის პარკის — 108 პროცენტით.

რაიონის მშრომელები იბრძვიან დეკემბერი „სკკპ XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური დიადად!“ და კვლავაც მოუდლელი შრომით ხვდებიან ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს; წლის ბოლოსდე სახელმწიფოს დამატებით მიაყიდიან 600 ტონა ხორცს; 1.150 ტონა რძეს, 2.100 ტონა ხილს და ერთ ტონამდე აბრეშუმის პარკს.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ნოზაძემ** და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. აბულაძემ.**

სიღნაღი

ღვლეულ განსაკუთრებით ბეჯითობენ სიღნაღელი მშრომელები და წარმატებებსაც აღწევენ. იანვარ-ივნისში სახელმწიფოს მიეყიდა 1.874 ტონა ხორცი, ნაცვლად 1.038 ტონისა; რძე 4.027 ტონა, ნაცვლად 3.411 ტონისა, კვერცხი 5 მილიონ 692 ათასი ცალი, ნაცვლად 5 მილიონ 200 ათასი ცალისა, მატყლი 80,1 ტონა ნაცვლად 57,5 ტონისა. ასევე სამი ტონის გადაჭარბებით შესრულდა აბრეშუმის პარკის წლიური საგეგმო დავალება.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა **თ. ქეციხოველმა** და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **დ. ალადაშვილმა.**

ჭიათურა

ჭიათურის ზონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 10 დღით ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, ბარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის 6 თვის საგეგმო დავალებები. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეწია 50 ტონა ხორცი, 87 ტონა რძე, 103 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი (ნაგულისხმევია მაის-ივნისის გეგმა).

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ხოფერიამ** და საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარემ **ჯ. გურულმა.**

ადიდენი

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის ექვსი თვის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს. 540 ტონა ხორცის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 580 ტონა, რძე 1940 ტონის ნაცვლად 1970 ტონა, მატყლი 30 ცენტნერის ნაცვლად — 30,5 ცენტნერი. ასევე გადაჭარბებით შესრულდა კვერცხის დამზადების გეგმაც.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის მეორე მდივანმა **ტ. ბარბლიშვილმა** და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ **ა. ინასარიძემ.**

შპატაკიშვილი დამამზადებლები

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საწარმოების კოლექტივებმა, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრება გაწიეს ხუთწლედის გეგმებისა და დავალებების ადრემდე შესრულებისათვის, წარმატებით შეასრულეს წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო დავალებები და ვალდებულებები: 105,6 პროცენტით შეასრულეს ფქვილის წარმოების გეგმა, 113,2 პროცენტით — კომბინირებული საკვებისა. წლის პირველი ნახევრის გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია ათიათასობით ტონა ფქვილი და კომბინირებული საკვები.

ბევრი რამ გაკეთდა რესურსების ეკონომიის მიზნით. მაგალითად, წლის პირველ ნახევარში დაზოგილია რვა ათასი ტონა მარცვლეული, 1.200 ათასი კილოვატსაათი ელეკტროენერგია.

სისტემის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წარმატებით შეასრულონ 1985 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმები.

კანონიერების სადარაჯოზე

3 არტიამ დასახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მასშტაბური გეგმები. დასახულ ამოცანათა შესასრულებლად წარმართავს იგი პარტიული ორგანიზაციებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას, იაენებს ხალხს მასების მძლავრ პოტენციალს, ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლის უფლებებს.

ვ. ი. ლენინი კანონიერების განმტკიცებას მიიჩნევდა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად. დისციპლინისა და მართლწესრიგის განუხრელი დაცვა, თითოეული მოქალაქის მიერ კონსტიტუციურ მოვალეობათა შესრულება დროის მტკიცე მოთხოვნაა, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლახან გამართულ სესიაზე აღინიშნა, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი გაძლიერება ხელს უწყობს ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, დემოკრატიის სრულყოფას, მოქალაქეთა უფლებების გარანტიების განმტკიცებას.

ახლა ქვეყანაში სულ უფრო აქტიურად ჩაღდება საყოველთაო-სახალხო მოძრაობა დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზაციის გაძლიერებისათვის, ამ საქმის განზე ვერ განუდგებიან სამართალდაცვითი ორგანოები. თავის კონსტიტუციურ ფუნქციათა განხორციელებასთან ერთად პროკურატურა მთელ ძალ-ღონეს ახმარს სახელმთა სახელგაფლენი ნყობილების, მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან, სამეურნეო ურთიერთობაში კანონმდებლობის დაცვისადმი ზედამხედველობის ორგანიზაციას, ბრძოლას სახალხო საკუთრების დაბაცების, მექრთამეობის, ნამატებების წინააღმდეგ. ამავე დროს პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში არის ნაკლოვანებები. ისინი ყოველთვის დროულად და პრინციპულად როდი რეაგირებენ კანონების და მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე, ყოველთვის როდი ამოცანელებენ საბერო ღონისძიებებს სამართალდარღვევებზე დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად, სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანანაზღაურებლად.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ პროკურატურას ამოცანად დაუსახა უზრნველყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, თანამდებობის პირების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტი და ერთნაირი გამოყენებისადმი ზედამხედველობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება, განსაორციელოს მტკიცე ღონისძიებანი კანონიერების ყოველგვარი დარღვევების გამოვლინისა და დროული, ალმოფხვრისათვის, სოციალისტური ცხოვრების წესისათვის უცხო მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეკონომიკა და სამართალი. აქ დღეს საჭიროა პროკურატურის განსაკუთრებული ყურადღება. საკავშირო ამოცანაა ავამაღლოთ ზედამხედველობის შეტევითობა და ქმედითობა ეკონომიკის სფეროში კანონმდებლობის დარღვევების, ფალსიფიკაციების, უყაირათობის, სახელშეკრულებო და საგეგმო დისციპლინის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზედამხედველობა უნდა გავუწიოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ეფექტიანი დანერგვის მართვის სრულყოფის შესახებ კანონების შესრულებას.

უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს სახალხო მეურნეობის სამართლებრივი უზრუნველყოფა მთლიანად არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. ქვეყანაში დაახლოებით 80 ათასი იურისტმოსულტია. მაგრამ მათი მუშაობა ბევრ შემთხვევაში ჯეროვნად არ არის ორგანიზებული, იურიდიული სამსახურების ფუნქციები კი შეფუროებულია. ბევრი მათგანი ასრულებს მოვალეობებს, რომლებიც არ არის მათთვის დამახასიათებელი. სამრეწველო საწარმოების მეხანძრე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 50 პროცენტს საერთოდ არა აქვს იურიდიული მომსახურება. ეს საკითხები უფრო სწრაფად უნდა გადაწყვეტოთ, გავაძლიეროთ იურიდიული სამსახურის როლი.

კანონი სოციალისტური საკუთრების, პროდუქციის ხარისხის საკარაჯოზე უნდა იდგეს. წუნი ხომ მატერიალური რესურსების დატაცების ერთგვარი ფორმაა, შრომის ფლანგვაა. პროკურატურამ ჯეროვანი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს თვალსაზრისებისადმი, ადამიანებისადმი, რომლებიც სახელმწიფოს მოტაუების გზას დადგნენ. იმაში, რომ მომხვეტელურ მისწრაფებებს ზოგან გადაჭრით არ უკუაგდებენ, მნიშვნელოვანწილად ბრალი მიუძღვით სამართალდაცვითს ორგანოებსაც. ზოგიერთი საქმის გამოძიება შეუფუნარებლად გაგნერდება. ჯერ კიდევ დაბალია სოციალისტური საკუთრების დაბაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოთა მოქმედების ეფექტიანობა. ამ ფაქტებიდან საჭიროა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

ჩვენში მტკიცდება კანონიერების რეჟიმი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ათასობით დასახლებულ პუნქტში მრავალი წლის მანძილზე არ ირღვევა სამართალი. მიზანდასახულად წარმოებს მუშაობა სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის რეზერის ხეს რესპუბლიკის, უკრაინის, საქართველოს ბევრ ქალაქსა და სოფელში. მაგრამ ბრძოლა დანაშაულების წინააღმდეგ არც ერთი დღით არ უნდა შენელდეს. უნდა გავაძლიეროთ მოქალაქეთა შრომის, ბინის და სხვა უფლებათა დაცვა, მკაცრად დავიცვათ კანონიერება მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას. საპროკურორო ზედამხედველობა უნდა იყოს მტკიცე გარანტია ყოველგვარი ბიუროკრატიული დამახინჯების წინააღმდეგ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ლოთობის, ხულიგნობის, მუქთახორობის, სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის განუხრელ შესრულებას.

მუშაობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული სახალხო დეპუტატთა სხვებთან, შრომითს კოლექტივებთან, საზოგადოებრივობასთან პროკურატურის ორგანოების მჭიდრო ურთიერთმოქმედებაზე. პროკურატურის მუშაკებმა, რომლებიც მტკიცედ უნდა ამაღლებდნენ მომთხოვნელობას მუშაობაში, სრულყოფდნენ საქმიანობის ტალღსა და მეთოდებს, მტკი ყურადღება უნდა დაუთმონ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას, კანონმდებლობის დარღვევის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების გამოვლენას და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელებას. დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტებისათვის.

დიდია საბჭოთა ხალხის როლი კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში. ისინი ორგანულად უნდა ერთიანებდნენ სახელმწიფო გადაწყვეტილებათა მიღების, მათი შესრულების ორგანიზებისა და განხორციელებისადმი კონტროლის ფუნქციებს. კანონიერების უზრუნველყოფის, სახალხო საკუთრების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის სახალხო დეპუტატების, შრომელთა მასების უფრო ფართო მოზიდვის საკითხები უფრო მეტ ყურადღებას ცენტრში უნდა იყოს. ეს პრობლემები რეგულარულად უნდა გავიტანოთ სესიების, აღმასკომების, შუდმივი კომისიების განსახილველად, მოვიხმინოთ სამართალდაცვითი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები.

პროკურატურა კანონიერების ფარია, და აქ უნდა მუშაობდნენ პოლიტიკურად მოწიფული, კანონიერებისა და სამართლის იდეალების ერთგული, პროფესიულად კარგად მომზადებული ადამიანები. თავიანთი მოვალეობის სანინშუო შესრულების მაგალითს კომუნისტები უნდა გვიჩვენებდნენ. აქ შეუფუნარებელი გულგრილობა და ბიუროკრატიზმი. პარტიული ორგანოების ამოცანაა ავამაღლონ სამართალდაცვითი ორგანოების კადრების პასუხისმგებლობა, მოახმარონ მათი მეცადინეობა მართლწესრიგის, დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა 1985 წლის პირველ ნახევარში სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები და განსაზღვრა წლიური გეგმისა და მთლიანად ხუთწლედის დამთავრებისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები. განხილვის დროს აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კიდევ უფრო გაიზარდა ეკონომიკა და გაუმჯობესდა მოსახლეობის კეთილდღეობა. ეძლევათ ზამთრის პერიოდში სახალხო მეურნეობის განვითარებაში დაშვებულ ჩამორჩენის. ნახევარი წლის მანძილზე სამრეწველო წარმოების ზრდა 3,1 პროცენტით გაიზარდა, აქედან მეორე კვარტალში — 4,2 პროცენტით. საერთოდ წარმატებით დამთავრდა პირველადი ბანმაბამრება, დროულად მოეწყო საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები სოფლის მეურნეობაში, უმჯობესდება საქმის ვითარება რკინიგზის ტრანსპორტზე.

ამავე დროს სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა როდი მიაღწია წლიური საგეგმო დავალებების უფლებულ-ყოფ ტემპს. ნავთობის მრეწველობის სამინისტრომ, შავი მეტალურგიის სამინისტრომ, სასუქების წარმოების სამინისტრომ, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, ხეტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამუშავებელმა სამინისტრომ და მთელმა რიგმა სხვა სამინისტროებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის გეგმები. გაერთიანებებისა და საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ იცავს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. მშენებლებმა სრული მოცულობით ვერ უზრუნველყვეს საწარმოო სიმძლავრეებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ამოქმედება. ძალიანად ვერ შესრულდა საცალო საქონლბრუნვის გეგმა, მთელ რიგ რაიონებში სრულად ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნას საქონლისა და მომსახურებაზე.

საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ გეგმის შესრულებაში ჩამორჩენის მთავარი მიზეზია წარმოების ეფექტიანობის არაკმარისი ზრდა, ინტენსიური განვითარების გზაზე მეურნეობის ნელი გადაყვანა. სამინისტროებმა, უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, გაერთიანებებმა და საწარმოებმა ხელმძღვანელების, ყველა შრომითი კოლექტივის წინაშე დასახულია ამოცანა 1985 წლის ექვსი თვის გეგმის შესრულების შედეგების, დამეებული ჩამორჩენის მიზეზების საფუძვლიანი ანალიზის საფუძველზე განახორციელონ მეორე ნახევარწლეულში წარმოების განვითარების დაჩქარების ღონისძიებანი, ხაზგასმით აღინიშნა, რომ არ უნდა დაეკარგოთ დრო, უნდა გავაქტიუროთ მუშაობა ხაკოვანებათა ალმოფხვრისათვის, ყოველი ღონე ვიხმაროთ 1985 წლის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის, მტკიცე ბაზა შეეუქმნათ მეთორმეტე ხუთწლედის წარმატებულ სტარტს.

პოლიტბიურომ განიხილა მეურნეობრობის ახალი მეთოდების შემდგომი განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე. მათი ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხი. აღინიშნა, რომ საწარმოო გაერთიანებისა და საწარმოების უფლებების გაფართოების, მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით მოწყობილი ეკონომიკური ექსპერიმენტების შედეგად გაუმჯობესდა შრომითი კოლექტივების მუშაობა.

1984 წელს ეკონომიკური ექსპერიმენტის მონაწილე სამინისტროების საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მოგების, თვითღირებულების შემცირების, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების დადგენილი დავალებები. წარმოების მთელი მატება მიღწეულია მუშაკთა რიცხვის გაუდიდებლად, მთელ რიგ შემთხვევებში კი შემცირებითაც. დადმნიშნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სახალხო მეურნეობის მართვის მთლიანი სისტემის შექმნის გზაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში განსაზღვრულია სამეურნეო მექანიზმის შემდგომ სრულყოფის მიმართულებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე ჩამოყალიბებული დებულებების შესაბამისად. გათვალისწინებულია კიდევ უფრო გაძლიერდეს შრომითი კოლექტივების, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის დაინტერესება წარმოების ეფექტიანობისა და ტექნიკური დონის ამაღლებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით. მნიშვნელოვნად მატყლს საწარმოში შესაძლებლობანი წარმოების განვითარების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და სახლნაო მშენებლობის ფონდების გამოყენებაში. იმრავლა იმ სამინისტროების რიცხვმა, რომლებიც 1986 წლის დამდეგიდან გადავლენ მეურნეობრიობის ახალ პირობებზე. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დასახულია ამოცანა გაამეყარონ ორგანიზაციული-პარტიული მუშაობა, რათა აქტიურად დანერგონ პრაქტიკაში მეურნეობრობის ახალი ფორმები და მეთოდები, ყველგან განამტკიცონ სამეურნეო ანგარიში, გაიუმჯობესონ წარმოების მართვა.

პოლიტბიურომ განიხილა ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის შემდგომი მშენებლობის ღონისძიებათა საკითხი. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში განსაზღვრულია სამეურნეო მექანიზმის შემდგომ სრულყოფის მიმართულებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე ჩამოყალიბებული დებულებების შესაბამისად. გათვალისწინებულია კიდევ უფრო გაძლიერდეს შრომითი კოლექტივების, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის დაინტერესება წარმოების ეფექტიანობისა და ტექნიკური დონის ამაღლებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით. მნიშვნელოვნად მატყლს საწარმოთა შესაძლებლობანი წარმოების განვითარების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და სახლნაო მშენებლობის ფონდების გამოყენებაში. იმრავლა იმ სამინისტროების რიცხვმა, რომლებიც 1986 წლის დამდეგიდან გადავლენ მეურნეობრიობის ახალ პირობებზე. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დასახულია ამოცანა გაამეყარონ ორგანიზაციული-პარტიული მუშაობა, რათა აქტიურად დანერგონ პრაქტიკაში მეურნეობრობის ახალი ფორმები და მეთოდები, ყველგან განამტკიცონ სამეურნეო ანგარიში, გაიუმჯობესონ წარმოების მართვა.

პოლიტბიურომ განიხილა ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის შემდგომი მშენებლობის ღონისძიებათა საკითხი. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში განსაზღვრულია სამეურნეო მექანიზმის შემდგომ სრულყოფის ღონისძიებანი, რომლებიც ეზრუნველყოფენ, რომ მეორეტეტე ხუთწლედში მთელი მაგისტრალი გადაიცეს მუდმივი ექსპლოატაციისათვის, დამთავრდეს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ზონაში იმ ქალაქებისა და დაბების მშენებლობა, რომლებშიც იქნება ჯანდაცვის, განათლების, ვაჭრობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საჭირო ობიექტები, და ამით იქ შეიქმნას ეიმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ახალი რაიონების სამრეწველო ათვისების დაჩქარების პირობები.

განხილული ღონისძიებანი ერთმანეთსან დაკავშირებით ხელის, კეტრისა და ყურძნის რაიონალური გამოყენების ღონისძიებანი. დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც ეხება ბაიკალ-ამურის მეორე ხაზის მშენებლობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური საკითხები, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ზონაში ეკონომიკური ექსპერიმენტის ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

რეკომენდებულია და ინერგება

ორი ახალი ტიპის სალი შენადნობი შეიქმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრაზე. პირველი შენადნობში, რომელსაც მჭიელი იარაღების დასამზადებად იყენებენ, ოთხჯერ-ხუთჯერ შემცირდა დეფიციტური ვოლფრამის რაოდენობა. ამ შენადნობისგან წარმოებული იარაღები გამოიცადა მოსკოვის საკისრის, დნეპროპეტროვსკის ლიბკნეხტის სახელობის, მოსკოვისა და ლენინგრადის მეტალურგიულ ქარხნებში, თბილისის „ჩარხშენებლის“ საწარმოო გაერთიანებაში და დაინერგა სვერდლოვსკის მეტალურგიულ ქარხანაში. სიახლემ ასი-ათასობით მანეთი დაზოგა.

რაც შეეხება მეორე ტიპის შენადნობს, მას უვოლფრამოდ ამზადებენ და გათვალისწინებულია ტექნოლოგიური აღჭურვილობის გამოსაშენებელ საბაგშო ბაგა-ბაღს. ქალაქის კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ, რომელიც სასკოლო მშენებლობის ძირითადი დამკვეთია, შარშან კაპიტალურ დამანაგებათა გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ამჟამად ერთდროულად შენდება სამი სკოლა, 7 საბავშო ბაღი და ერთი საკულტურო-საგანმანათლებლო ცენტრი. ამ ობიექტებზე ერთ-ერთ ადგილზეა ბ. ბოთიშაშვილის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლა. ეს ობიექტი ბოლო ორ-სამ კვირეულში ექსპლუატაციაში ჩაბარდება. ამ ობიექტზე ბ. ბოთიშაშვილის ... ...

დღეს, ხვალ, მუდამ...



ნოდარ დუმბაძის გახსენება

დღეპანდელ დღეს, 14 ივლისს დაიბადა იგი, 57 წლის წინათ. ეს მისი პირველი დაბადების დღეა, როცა თავად ჩვენთან ალარ არის. ადამიანი ყველა ტკივილს უძლებს, ეს არის მისი ძალაც და, იქნებ, სისუსტეც. უნოდარობა, ამ სიცოცხლის ეთით სავსე კაცის უსიცოცხლობა წარმოუდგენელი იყო ყველაზე უიმედო წუთებშიც კი. თუმცა, შესაძლებელი ყოფილა. ან იქნებ შეუძლებელეგ დარჩა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი კვლავ ჩვენთანაა და კაცმა რომ თქვას, ერთი დღეც არ გვიცხოვრია უიმისოდ.

მუდამ თვალწინ მიდგას მისი სევდანარევი ღიმილით განათებული სახე. სევდით — ადამიანთა ტკივილების გამო, მას ხომ ყველას მაგიერ სტკიოდა. ღიმილით — ადამიანთადმი ქალის, რწმენის, ხალისის მისანაქცევლად. ბუნება, ადამიანი, სიცოცხლე მისთვის ის უმადლესი ნეტარება და მშვენიერება იყო, რომელზეც ყველს ვერავინ და ვერაფერი ააყრევინებდა, თუმცა სხვაზე უკეთ ხედავდა ერთის, მეორის და მესამის... ნათელსაც და ბნელსაც.

ალბათ, ყველას ასე უდგას თვალწინ იგი, ვინც კი მას პირადად იცნობდა. ბევრნი იცნობდნენ. იცნობდნენ ნათესავები და მეგობრები, კოლეგები და თანაშრომლები, იცნობდნენ შინ და გარეთ. რაც მთავარია, იცნობდა ხალხი. ზოგი მწერალი შორიდან აკვირდება ადამიანებს, ნოდარს კი უყვარდა ხალხში ტრიალი, თუნდაც შემთხვევით შემოხვედრილთან განდობილი საუბარი. იოლად პოულობდა უცნობთა გულის გასაღებს, ჯერ თავისს სანდომიანი, ნათელგადაფენილი იერით, მერე კი — უბადლო სიტყვით და უწრფელესი გრძნობით.

ისინიც კი, ვინც პირადად არ იცნობდნენ მას, შეუმცდარად არიან ჩაბნედარნი ნოდარის ბუნებას და არსს (ამაში უამრავი საზოგადო თუ კერძო წერილიც გვარწმუნებს ჭკითხველ ბ ი ს ა), რადგან მის შემოქმედებაში მწერლის პიროვნება მთლიანად და გულწრფელად არის საშაკარაზე გამოტანილი. ასე რომ, ზეალაც, მომავალშიც, როცა მისი თანამედროვენიც წავალთ, მაინ, ვიდრე ქართველი ერი იარსებებს, და მისი უკედავება კი ღმერთმა ნუ ქნას არა გვკერძოდეს, ნოდარ დუმბაძე მუდამ იქნება და ცოცხლად გადავა თაობებიდან თაობებში, როგორც მეოცე საუკუნის ქართული ცხოვრების შემატყობე და საერთოდ კი ქართული სულის და ხასიათის გამომხატველი განუმეორებელი მწერალი.

ნოდარ დუმბაძის სახელი სოციოლოგშივე გახდა მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი. ამგვარი პოპულარობა არც ერთ ქართველ მწერალს არა რგებია, საერთოდაც იშვიათია. მისდამი ინტერესი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. მწერლის მადლიანი და მომავალდამდები სიტყვა უკვე კარგა ხანია მისწვდა შორეულ მხარეებს, მისი გვერცელების გეოგრაფია რუკის ორ უკიდურეს წერტილს შორის, იაპონიასა და ამერიკას შორის არის გადაშლილი. მომავალში იგი უშორეს კუთხე-კუნჭულებშიც შეაღწევს, რაკი ისეთი უმძლავრესი და უშრეტი კვებაი ირტერია გააჩნია, რომელიც ერთდროულად ეროვნულ და ინტერნაციონალურ სულს შთაბერავს მას.

მწერლის შემოქმედება უადრესად ქართულია არა მარტო იქ გამოხატული გარეგნოთი და ხასიათებით, ცხოვრების წესითა და ჩვეულებით, ყველა მთავარი თუ არამთავარი მხატვრული კომპონენტით, არამედ, რაც მთავარია, იმ ფესვებით, რომლებითაც ეროვნულ კულტურას უკავშირდება, და იმ მაღლა გახტომელი გვირგვინითაც, მომავალის მწერლობას რომ სწვდება წინაპართაგან შთამომავლობით მიღებული ეროვნული სულისა და მრწამსის გადასაცემად.

ამ უაღრესად ქართველი მწერლის შემოქმედების წარმატების მიზეზი შობლიურ ქვეყანაში თითქოს იოლი გასაგებია მისი აშკარად და მშვენიერად გამოხატული ეროვნული ხასიათის გამო. სხვათა ინტერესი შესაძლოა ვინმემ უცნო სამყაროს ყოფისა და ხასიათების მიმზიდველობის ძალით ახსნას. ალბათ, არც უამისობაა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ უცხო გარეშეში და უცხო გმირებით დასახლებულ სამყაროში ყოველი ეროვნების მკითხველი ნაცნობი, ახლობელი განცდებისა და ფიქრების თანაზიარი ხდება, რადგან ეს სამყარო უაღრესად ადამიანური და ნათელია. სწორედ ამ განზოგადების, ეროვნულიდან ზოგადსაკაცობრიობედ ამაღლების ძალაში, დრმა ოტიმიზმისა და ჭეშმარიტ ჰუმანისტური სულისკვეთების უპირატესად უმეცეტ, ლირიკულ გამჟღავნებაშია მწერლის გამარჯვების სათავე და საწინდარი.

ეს მშვენიერი თვისება ნოდარ დუმბაძის პროზას თავიდანვე დაჰყვა, როდესაც „მე, ბებია, ილია და ილარიონი“ დაიბეჭდა. ამ რომანით არა მარტო ახალ მხატვრულ სამყაროს დაედო საფუძველი, არამედ ახალ ტენდენციას და ახალ ეტაპსაც კი ქართულ საბჭოთა მწერლობაში. ამას მოჰყვა ყველასთვის კარგად ცნობილი ნაწარმოებები და ასე შეიქმნა ის განუმეორებელი, მოგონებიანი, ღრმად დამფიქრებელი და დიდად ემოციური სამყარო, რომელსაც ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ჰქვია.

მისი რომანებიც და მოთხრობებიც დიდი სინათლით არის ნავსე, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მწერალი იდილიურ სამყაროს შეაყურებს. არა, ეს უბრალოდ მისი სულის ნათელის წყალობაა, მისი რწმენისა და იმედის გამოა, თორემ დიდი მიზეზიც არ სჭირდება იმას, რომ ნოდარ დუმბაძეს უპირატესად ჩვენი ცხოვრების დრამატიზმით დამძიმებული გარემოებანი აინტერესებს. ეს ინტერესი ცხოვრების მართლად და ღრმად, გაგებითარების მთავარი ტენდენციებით წარმოსახვის წყდილითაა ნაკარნახევი, აგრეთვე იმის რწმენითაც, რომ ამგვარი გარემოებანი უკეთ წარმოაჩენენ მაღალი ზნეობის ადამიანებში მოქალაქეობრივი გრძნობისა და სულიერი სიმტკიცის წრთობას.

წუთისოფელი ტკბობისა და ნებივრობისათვის არ არის მოგონილი. იგი სიკეთის დასამკვიდრებლად გარჯითა და ბრძოლით გასავლელი გზაა. მხოლოდ ამ გზაზე მოუღელი სალ ალამაზებს ადამიანს, ამ გზაზე დაძლეული წინააღმდეგობები ამაღლებს მას. ამ განსაწმენდელ გზაზე მიაბიჯებენ ნოდარ დუმბაძის გმირები და იუმორი, რომლითაც სავსეა და ასე მიმხიბლავია ეს სამყარო, განცდათა შესამსუბუქებლად და იმედიანი განწყობილების გაჯმოსაცემად არის მოხმობილი.

მწერლის მთელი შემოქმედება ადამიანის და მზის დიდებული საგალობელია. მისი გმირები სიკეთითა და კეთილშობილებით, სიყვარულითა და თანაგრძნობით, ხალისითა და ცხოვრების წყურვილით, სიამაყითა და თავმდაბლობით, სიძლეერითა და გულისხმიერებით არიან საკმესენი და ამ მშვენიერი ადამიანების მფარველი და ნუგეშად ყაჩაღშეს მზე ღილისაც და ღამითაც, როგორც სიმბოლო ამქვეყნიური სინათლისა და სითბოსი.

„დიახ... თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებთ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ...“ — ეტყვის პროფესორი ბაჩანა რამიშვილს, რომან „მარადისობის კანონის“ გმირს, პროფესიით მწერალს.

ეს არის ყველაზე უბრალო და ყველაზე დიდი აღიარება, როგორიც კი მწერალმა შეიძლება დაიმსახუროს. საერთოდაც, ყოველი პროფესიის ადამიანისათვის ამგვარი ხატოვანი მისი არსებობის გამართლება იქნება. ასე გვნელი ხანმოკლე ცხოვრებაც კი ბევრად უფრო ლამაზია და სიკეთის კვალის დამჩნევი, ვიდრე თუნდაც ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლე, უფრო ზუსტად, ფიზიკური არსებობა ზოგიერთებისა.

დიახ, ჭეშმარიტი და ყველაფერი კეთილი და ადამიანური სიყვარული დაღით არის დასმული, სიყვარულის ცეცხლით არის შთაგონებული, სიყვარულის ნათელი არის გასხივოსნებული. ამას კი სიყვარულით სავსე ცხელი გულის ფეთქვა სჭირდება, ცივი და ხელოვნური გული ამის შემოქმედად არ გამოდგება. ეს კარგად ესმით ნოდარ დუმბაძის გმირებს.

ისიც მართალია, რომ რაც უნდა ოსტატურად იყოს შეთხზული ნაწარმოები, ჰუმანიზმის ქადაგება მაინც უნაყოფო იქნება, თუ მწერლის სათქმელი მისი ცხელი გულის გავლით არ მიდის მკითხველამდე, თუ მისი სიხარული სულის ყიყინი არ არის, თუ მისი მწუხარება ტკივილით დაფლეთილი ნერვებით არ გადმოიცემა.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედების დიდი ღირსება ამ უცილობელი სიბრძნითაც არის ნასაზრდოები. მწერლის ანთებული გულის ხანძარი ყოველ ხასიათში, ყოველ ფრაზაშიც კი გიზგიზებს. ამიტომაა ისე გადამდები. ამიტომაც იგიზგიზებს იგი ხვალაც, მომავალშიც, მუდმივადაც...

ГУРАМ ГВЕРДწИТЕЛИ.

**დღეს თბილისსა და საყოველთაოში, ამ სახელების ფასადებზე, სადაც ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი, ხალ. ბოთა მწერალი და საზოგადოებრივი, ლენინური პრემიის ლაურეატი ... ...

ფასდაუდებელი ძღვენი

...სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის კოლექციას სამ ათეულ წელზე მეტხანს ამშვენებდა ეს პორტრეტი „ქალი თარით“, რომელიც გენიალური თვითნასწავლი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ყალამს ეკუთვნის. იგი ოსტატმა შეიძინა კერძო მფლობელისაგან და თითქოს მრავალი წლის მანძილზე უწყვეტი ძიებით აკავშირებდა დიდ წინამორბედთან. და უნებურად ახსენდებოდა ფიროსმანის სიტყვები: „ჩვენ აუცილებლად უნდა ავაშენოთ ქალაქის შუაში დიდი ხის სახლი, რომ ერთად შევიკრებოთ... და ვილაპარაკოთ მხატვრობასა და ხელოვნებაზე“. ახდა მისი სანუკვარი ოცნება: დღეს ჩვენი რესპუბლიკა დაფარულია სახვითი ხელოვნების მუზეუმების, სახალხო სურათების გალერეების, საგამოფენო დარბაზების, სახლ-მუზეუმების ფართო ქსელით, რომლებიც მაყურებლებს წარმოუდგენენ კულტურის მთელ სიმდიდრეს.

და იმათ შორის, ვინც ზრუნავს, რომ კულტურული მემკვიდრეობა სრულად იყოს წარმოდგენილი თანამედროვეებისათვის, არის უჩა ჯაფარიძეც —დიდებული ოსტატი, მოქალაქე, კომუნისტი, გულთაფი და გულუხვი ადამიანი. მან გადაწყვიტა ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეისათვის ძღვნად გადაეცა ნიკო ფიროსმანის ფერწერული ნამუშევარი.

11 ივლისს გაიმართა ქალაქის წარმომადგენლებისათვის პორტრეტის გადაცემის ცერემონია. ბეჭერდასი ძღვენი რომ მიიღო, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ასლანიკაშვილმა ქალაქის ყველა შრომელის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა ოსტატს.

სახალხო მხატვრისადმი სამადლობელი სიტყვები წარმოთქვა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ე. ამაშუკელმა, რომელიც ბაზგალმთ აღნიშნა, თუ როდიდ ფართოა მცოცავნი ფერმწერისა და ნიჭიერი აღმზრდელის ინტერესები, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ბევრი შესანიშნავი ფურცელი თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცხოვრებაში.

საკმარისია ითქვას, რომ უჩა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ცხოვრების დიდ გზაზე გამოვიდა მხატვართა ახალგაზელი თაობის ბევრი წარმომადგენელი.

შთამბეჭდავად გაისმა უჩა ჯაფარიძის სიტყვები, რომელმაც თქვა, რომ იგი ცხოვრობდა და ცხოვრობს თავისი ხალხის საქმეებითა და სურვილებით, და უთმაოდ ვერ წარმოუდგენია თავისი. შემოქმედება.

სურათის გადაცემის ცერემონიას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ხ. ჯანბერიძე.

სურათებზე: სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე ფიროსმანის სურათს „ქალი თარით“ გადასცემს ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეას.

ზ. აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპ.).

ილიას „პატარა საუბარი“

ფიქრები კლასიკურ მემკვიდრეობაზე

„პატარა საუბარი“ სათაურია ილია ჭავჭავაძის წერილისა, რომელიც დასკვნითი სახით არის გადმოცემული „კაცობრობის ნაბეჭდრის“ — დედათა ბუნების, მათი არსებობის აზრისა და დანიშნულების შესახებ ილიას ბრძნული აზრები. იგი დაიბეჭდა 1898 წელს. ამის შემდეგ ილიას ამ საგანზე ცალკე წერილი არ გამოუქვეყნებია. ეს წერილი წარმოადგენს დედათა საქმის, ანუ ქალთა საკითხის შესახებ ილიას პოეტური, ბელეტრისტული, პუბლიცისტური და პრაქტიკული თითქმის ნახევარსუკუნოვანი ღრმა და მფელვარე ნაზრევის უკქონ გვიტოვებს.

თავისი ეპარონრივი აგებულებით „საუბარი“ არ განეკუთვნება არც პოეზიასა და არც პროზას. იგი არც პუბლიცისტური თუ ფილოსოფიური ტრეტიზეა და არც ლიტერატურული. მით უმეტეს, იგი არც მიშველი მოწოდებაა, ვმოცა თუ ძაგება. „პატარა საუბარი“ ჭეშმარიტ დედათა ღირსების. დახასიათებაა „ხე ცნობადისა“ და „ხე ბრძნობადის“ ისეთი შეუღლებით, მხოლოდ ილიას რომ შეეძლო. ილიას მადლით რომ სულდგმულობს და მის მთელ რიგ წერილებში გაუმეორებელია, ილიასეული და ილიასებურია.

„პატარა საუბრის“ შინაარსის გადმოცემა სხვათა სიტყვით რა რიგ დაბეგეწილი, მკაფიო, ზუსტი და თანაც ხატოვანი უნდა იყოს ეს სიტყვა, შეეძლებელია და ცოდვაც არის; ასეთ შემთხვევაში იგი კარგავს იმ სიდიდესა და სურნელეგას, რაც დედაშვილობის შესახებ ჩვენს ცხოვრებაში საუკუნეების განმავლობაში დუღს, რაც ხალხს ნაბიჯ-ნაბიჯ, გამოუთვლია, შეუმოწმებია, კაცთა წინსვლისა და აღორძინების საძირკველად დაუდვია და ილიას მადლიან კალამს გულისა და აზრის უებრო შეწონადებით უკვდავ სტრიქონებად უქცევია.

ეი, „პატარა საუბრის“ ტექსტი თითქმის მთლიანად:

„ქართველნო დედაკაცნო, დღეს თქვენთან მინდოდა პატარა საუბარი გამემართა, მაგრამ პირველ სტაკვაზედვე ძალიან შევფრთხი, შეველოდი. აქ დედაკაცად გახსენეთ ჩვენი დედები, ჩვენი დები, ჩვენი მეუღლეები, ერთობ დიდი და პატარა დედათა სქესისანი და შვენინდი — ვაი თუ ეს სახელი ითაკილოო, იუკადრისოთ, ვეწყინოთ. ვაი, რა დრო მოვიდა, რომ კაცობთ ხსენება დედათა სათაკილოდ გაგვიხდა!

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადი, უთქვამს რუსთაველს ლომი ლომია, ერთია, — ძუ იყოს, თუნდა ხვადი, ამბობს დღესაც ვლეტკაცი. მართალია, სწორია, ერთია ამასა ჰბობობს ჩვენი ქართული ენაც და ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც კაცი ჩასძახებს. ქართველ დედასაც კაცად ჰხადის და ამიტომ „დედაკაცს“ ეძახის, როგორც მამას — „მამა-კაცს“. განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთის სქესთანი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობითა ხართ კაცნი და ჩვენ მამობით. არსება კი ერთია, ორნივ კაცნი ვარო, ორნივ ღვთის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია, რომელსმე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს.

ამკარაა კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია, ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა. დედაკაცობაზედ, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“. გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — „გუთნის დედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი! სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც — კი აღნიშნელია დედობით! ამაზე მეტი პატივი რალა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დედებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი!“

ამიტომაც „დედაკაცის“ „ქალამდე“ ჩამოსვლა და „მამაკაცის“ „ვაჟამდე“ — ცხენოსანის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნა, გარდაცვლაა აზრისა და სანტენების ჩამოფლობაა, დაფუფუვაა. მამაკაცი კიდევ ბევრს არას დაკკარგავს, რომ „ვაჟამდე“ ჩამოხდეს ვაჟს კიდევ მიეკერება სახელი კაცისა, „ვაჟი-კაციაო“. ქალს კი ჩამოეცალა სახელი კაცისა. „ქალიკაცი“ არ ითქმის, არ მოდის, არ ეხერხება ენას. იქნებ იმიტომაც, რომ ქალი მეტად სუსტია და თან ვერ ატარებს, ვერა ჰხიდავს „კაცის“ მძიმე სახელს. თუნდ ეგეც არ იყოს, აქ სიტყვა არ უხდება საგანს და საგანი სიტყვას. ქალი ქალიოა და თითქო არა კაცი. სად ქალთა და სად დედაკაცობა! ქალი შესანახია და არა შემმახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული, იგი პეპელას და არა ფუტკარი. ქალისათვის ეს ზეთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისათვის — სახელი კაცობისანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა სალეწი, სარბილია საომარ ჭკუთთა და მარჯვენითა. ქალი უფარხმალოდ დედაკაცია, დედაკაცი ფარხმალიანად ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან!

ვაი, რომ „დედაკაცნი“ წავიდნენ. ალარ გვეკვანან და მარტო ქალებიღა დაგვრჩენენ და, ჩვენის ფიქრით, ბუერჯს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“. „დედაკაცობა“ ეს ერთ-ერთ ადამიანისა კი — „ბუნთის დედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი! სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც — კი აღნიშნელია დედობით! ამაზე მეტი პატივი რალა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დედებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი!“

ამიტომაც „დედაკაცის“ „ქალამდე“ ჩამოსვლა და „მამაკაცის“ „ვაჟამდე“ — ცხენოსანის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნა, გარდაცვლაა აზრისა და სანტენების ჩამოფლობაა, დაფუფუვაა. მამაკაცი კიდევ ბევრს არას დაკკარგავს, რომ „ვაჟამდე“ ჩამოხდეს ვაჟს კიდევ მიეკერება სახელი კაცისა, „ვაჟი-კაციაო“. ქალს კი ჩამოეცალა სახელი კაცისა. „ქალიკაცი“ არ ითქმის, არ მოდის, არ ეხერხება ენას. იქნებ იმიტომაც, რომ ქალი მეტად სუსტია და თან ვერ ატარებს, ვერა ჰხიდავს „კაცის“ მძიმე სახელს. თუნდ ეგეც არ იყოს, აქ სიტყვა არ უხდება საგანს და საგანი სიტყვას. ქალი ქალიოა და თითქო არა კაცი. სად ქალთა და სად დედაკაცობა! ქალი შესანახია და არა შემმახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული, იგი პეპელას და არა ფუტკარი. ქალისათვის ეს ზეთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისათვის — სახელი კაცობისანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა სალეწი, სარბილია საომარ ჭკუთთა და მარჯვენითა. ქალი უფარხმალოდ დედაკაცია, დედაკაცი ფარხმალიანად ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან!

ეი, ასეა გადმოცემული „პატარა საუბრის“ სამოდ ნაბეჭდ გვერდზე დედაშვილობის დიდი ამბები, მისი უმთავრესი სამსახები და სანიშნეები, მისი ბედი და უბედობა და, რაც მთავარია, გულთადი ზრუნვა ერის მომავლზე. აქედან გამომდინარე, ეგები ზოგიერთმა ქალთხელთანგანმა გაიფიქროს — რაკიდა ილიამ ამ პატარა საუბრით ასე სრულად თქვა დედათა შესახებ თავისი სათქმელი, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ არ დავზოგოთ ძალა და ღონე მასში გამოთქმული დიდებული აზრების განხორციელებისათვისო. ასეთი ფიქრი უსაფუძველო როდია, მაგრამ ამ არ შეიძლება დავსვათ წერტილი. დედაშვილობა სულდგმულის იმ ფესვებიან, რომლებიც ასეული და ათასწლეული სიღრმეში გაწოლილა და ჩვენი ხალხის გულსა და შეგნებაში და განპირობებენენ მის გუნებწონდელ, გუშინდელ და დღეგანდელ არსებობას და ხვალინდელ დღის აზრსა და მიმართულებას. ეს კი იმას გვავალებს, რომ ეი, ამ ფესვების შესწავლისა და გამოძიების ნიადაგზე დავფუძნოთ ზრუნვა დედაშვილობის ხვალინდელ დღეზე.

დასასრულს, დედათა საქმის პრობლემებზე საპოციალიზმის წიაღში შემუშავებული და, კიდევდ, ილიას „პატარა საუბარში“ გამოთქმული დიდი აზრების შესახებ ის შეიძლება ითქვას, რომ მათი მნიშვნელობა ს